

ფატმან ანთაძე-მალაშხია, ნანა კაჭარავა

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

patman.antadze@tsu.ge; nanuli.katcharava@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.04>

სპარსული წარმომავლობის ლექსიკურ პარალელთათვის თურქულში, აზერბაიჯანულსა და ქართულში

საკვანძო სიტყვები: ლექსიკური პარალელები; სპარსულ-თურქულ-აზერბაიჯანული ენობრივი ურთიერთობები; სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობები.

სპარსულთან მრავალსაუკუნოვან და მჭიდრო ენობრივ ურთიერთობათა შედეგად თურქულ, აზერბაიჯანულ და ქართულ ლექსიკაში დასტურდება არაერთი სპარსული ნასესხობა. სპარსიზმთა ლექსიკური შრე განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი ანატოლიურ თურქულსა და აზერბაიჯანულში, რაც განპირობებულია სპეციფიკური ისტორიულ-კულტურული გარემოებებით, კერძოდ, სპარსული ენის მაღალი რეპუტაციითა და გავლენით მუსლიმურ სამყაროში.

სპარსული პრესტიჟული იყო ქართული ფეოდალური ელიტისათვისაც, როგორც მაღალმხატვრული ლიტერატურის ენა. ამავდროულად საქართველოში სპარსული ენის სტატუსი არასდროს არ ყოფილა თანაზომადი იმ როლისა, რომელსაც სპარსული ასრულებდა მცირე აზიისა და ინდოეთის სუბკონტინენტის რიგ ისლამურ ქვეყნებში როგორც ოფიციალურ-ადმინისტრაციული, დიპლომატიური და ისტორიოგრაფიული თუ მხატვრული ლიტერატურის ენა. სავარაუდოდ, ეს გარემოება განაპირობა მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწერლობო ტრადიციის არსებობამ, სანახევროდ დაპყრობილი ქვეყნის შინაგანმა პროტესტმა დამპყრობლის მიმართ და ასევე რჯულისმიერმა დაპირისპირებამ (ქრისტიანობა vs ისლამი), როცა ქრისტიანობა მოიაზრებოდა როგორც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

საკუთრივ სპარსულ-ქართულ (სპარსული ენის სამივე პერიოდის – ძველის, საშუალოსა და ახლის ჩათვლით) და თურქულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა საკითხების კვლევას არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიემდვნა [აბულაძე, ც.(1968); ანდრონიკაშვილი, მ.(1966); ანდრონიკაშვილი, მ.(1996); ანდრონიკაშვილი, მ.(1996); ანთაძე-მალაშხია, ფ.(2018); ბარათია ნ.(2011); რუხაძე, ლ.(2013)], თუმცა სპარსული წარმომავლობის თურქულ/აზერბაიჯანულ და ქართულ ლექსიკურ პარალელთა ურთიერთმიმართება და ეტიმონებთან მიმართება გამოუკვლეველ სფეროდ რჩებოდა. ამ მიმართულებით პირველი სტატია მხოლოდ ბოლო ხანებში დაიწერა [ანთაძე-მალაშხია, ფ.; კაჭარავა, ნ. (2024)], რომელიც ქართულის მიერ სპარსიზმთა სესხებისას თურქულისა და აზერბაიჯანულის შუამავლობას ეხება.

ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ანატოლიურ თურქულში, აზერბაიჯანულსა და ქართულში არსებულ სპარსიზმთა მიმართება გამსესხებელ სპარსულთან და მათი შეთვისების თავისებურებები მსესხებელ ენებში, ასევე ამ ენებში დადასტურებულ სპარსიზმთა ურთიერთმიმართება. ჩვენ მიერ მოძიებულია სპარსული წარმომავლობის 270-

მდე თურქულ-აზერბაიჯანულ-ქართული ლექსიკური პარალელი¹ და გაანალიზებულია მათი შეთვისების თავისებურებები მსესხებელ ენებში.²

განსახილველ ნასესხობათა ეტიმონები წარმოდგენილია არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელებითა და შორისდებულებით. ეტიმონთა დიდი უმეტესობა არსებითი სახელებისაგან შედგება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სპარსულში გრამატიკულად პოლისემურია და მოიცავს როგორც არსებითის შინაარსს, ასევე ზედსართავულ მნიშვნელობას.

საზოგადოდ, არსებითისა და ზედსართავის მომცველი გრამატიკული პოლისემია ტიპური მოვლენაა სპარსულში. იხილეთ:

სპარს. **جوانمرد**[javānmard] 1.1) ზედ. სახ. 1) „კეთილშობილი, დიდსულოვანი“; 2) „მამაცი, გულადი, ვაჟკაცური“; 2.არს. სახ. 1) „კეთილშობილი, დიდსულოვანი კაცი“ >თურქ. **cömert**[jomert] ზედ. სახ. 1.1) „გულუხვი, ხელგაშლილი“; 2) „მამაცი, გულადი, ვაჟკაცური“; არს.სახ. 2.1) „გულუხვი, ხელგაშლილი კაცი“//აზერ. **comərd**[joemərd] ზედ. სახ. 1) „გულუხვი, ხელგაშლილი“; 2) „მამაცი, დიდსულოვანი“//ქართ. **ჯომარდი** ზედ. სახ. „გულადი, ყოჩაღი, ჩაუქი, ქველი“.

comərd[joemərd]-მა გრამატიკული პოლისემიურობა შეინარჩუნა თურქულში, ხოლო აზერბაიჯანულსა და ქართულში ის ზედსართავად იქნა შეთვისებული, თუმცა აზერბაიჯანული ინარჩუნებს ეტიმონის ზედსართავული მნიშვნელობის პოლისემიურობას. ქართული პარალელი მიდრეკილია მონოსემიზაციისკენ. ეს სიტყვა სადღეისოდ იშვიათად გამოიყენება და მისი დომინანტური მნიშვნელობაა „გულადი, ყოჩაღი, ჩაუქი“ და არა „ქველი“, მდრ. გრიშაშვილისეული განმარტება „მხნე, გულადი, რაინდი“. წარმოდგენილი ნასესხობა მაგალითია ქართულში გამოკვეთილი ტენდენციისა, რომლის შედეგად, სესხებისას სპარსული ეტიმონის ლექსიკური პოლისემიურობის არე მცირდება ან მონოსემიზდება.

სპარს. **مرد**[mard] 1.არს. სახ.1) „მამაკაცი, კაცი“; 2) „ქმარი“; 3) „მამაცი კაცი, ვაჟკაცი“; 2. ზედ. სახ. „ვაჟკაცური, გულადი, მამაცი.“ >თურქ. **mert**[mert] 1.არს. სახ.1) „კაცი“; 2) „ვაჟკაცი“; 3) „სანდო კაცი; სიტყვის კაცი“; 4) „პატრიოტი“; 2. ზედ. სახ. 1) „მამაცი, გულადი, ვაჟკაცური“; 2) ზედ. სახ. „სანდო, პატიოსანი“//აზერ. **mərd**[mærd] ზედ. სახ. „მამაცი, გულადი“//ქართ. **მარდი** ზედ. სახ. „სწრაფი, მალი, ცქვიტი, მკვირცხლი“.

წარმოდგენილ მაგალითებში თურქული **mert**[mert] ინარჩუნებს გრამატიკულ პოლისემიურობას. აზერბაიჯანული და ქართული ვარიანტები კი მონოსემიზებულია ზედსართავის სახით. სპარსული და აზერბაიჯანული მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო ქართულ ვარიანტში მნიშვნელობის ცვლილების საფუძველი სისწრაფისა და სიმკვირცხლის ვაჟკაცობასა და გულადობასთან ასოცირებაა.

სპარს. **دربین**[durbin] 1.არს. სახ. „დურბინდი, ჭოგრიტი“; 2. ზედ. სახ. 1) „შორსმხედველი“; 2) „შორსმჭვრეტელი“ >თურქ. **dürbün**[dürbün] არს. სახ. 1) „დურბინდი, ჭოგრიტი“; 2) „ჭუჭრუტანა, ხვრელი“//აზერ. **durbin**[durbin] 1.არს. სახ. „დურბინდი, ჭოგრიტი“; 2. ზედ. სახ. 1) „შორსმხედველი“; 2) „შორსმჭვრეტელი“//ქართ. არს. სახ. **დურბინდი** „ჭოგრიტი“.

ფონეტიკური თვალსაზრისით, **دربین**[durbin]-ის სესხებისას თურქულმა ეს სიტყვა ენაში არსებულ სინჰარმონიზმის წესს დაუქვემდებარა და ეტიმონისეული **i** პირველი მარცვლის სპარს. **u** >თურქ. **ü**-ს იდენტურ ბგერად გადააქცია. რაც შეეხება მორფოლოგიურ

¹ ამათგან 20-მდე ერთეული არ დასტურდება თურქულში, რის მიზეზადაც თურქულთან შედარებით, სპარსულ-აზერბაიჯანულ ენობრივ ურთიერთობათა მეტ სიმჭიდროვეს მოვიაზრებთ, რასაც ისტორიულად განაპირობებდა აზერბაიჯანული მოსახლეობის ირანის და არა ოსმალეთის შემადგენლობაში ყოფნა.

² საკვლევი სიტყვები ამოკრეფილია სხვადასხვა სპარსული, თურქული, აზერბაიჯანული და ქართული ლექსიკონებიდან (აივერდი, 2005; ანვარი, 2002; ი. გრიშაშვილი, 1997; თურქული ენის ლექსიკონი, 1998; ა. ორუჯოვი, 2006; ი. რუბინჩიკი, 1970; ქეგლ, 1950-1964; abadis.ir; ganmarteba.ge.)

მხარეს, ქართულმა, თურქულმა და აზერბაიჯანულსგან განსხვავებით, გრამატიკულად პოლისემიური ეტიმონის მხოლოდ ერთი მორფოლოგიური კატეგორია, კერძოდ, სუბსტანტივური მნიშვნელობა შეითვისა. თურქული და აზერბაიჯანული პარალელები კი ეტიმონის მსგავსად, მოიცავს როგორც არსებითის, ასევე ზედსართავის მნიშვნელობას.

გვაქვს მაგალითები, როცა ეტიმონის გრამატიკული პოლისემიურობა ასახულია როგორც თურქულსა და აზერბაიჯანულში, ასევე ქართულში შესულ ნასესხობებში, იხ. სპარს. **نامرد** [namard]>თურქ. **nâmert** [na:mert]//აზერ. **namərd**[namærd]//ქართ. **ნამარდი** 1. ზედ. სახ. „ლაჩარი, სულმდაბალი, არაკაცური, უკეთური“; 2. არს. სახ. „არაკაცი, ნადირალა“.

რიგ შემთხვევებში გრამატიკულად პოლისემიური ეტიმონები მოიცავენ ზედსართავულ და ზმნიზედურ მნიშვნელობებს, რაც გრამატიკული პოლისემიის სრულიად ბუნებრივი ფორმაა სპარსულისათვის. ამგვარი პოლისემიურობა ხშირად შენარჩუნებულია თურქულ და აზერბაიჯანულ ვარიანტებშიც. იხილეთ:

სპარს. **آشکار/آشکارا** [āškār/āškārā] 1. ზედ. სახ. „ცხადი, ნათელი, დაუფარავი“; 2. ზმნზდ. „ამჟვარად, ცხადად, ნათლად, დაუფარავად“>თურქ. **âşikâr**[aʃika:r]/**âşikâre**[a:ʃika:re] 1. ზედ. სახ. „ამჟვარა, ცხადი, ნათელი“; 2. ზმნზდ. „ამჟვარად, ცხადად, ნათლად; ღიად“//აზერ. **aşkar** [aʃkar] 1. ზედ. სახ. „ამჟვარა, ცხადი, ნათელი, დაუფარავი“; 2. ზმნზდ. 1) „ამჟვარად, ცხადად, ნათლად; გულწრფელად“; 2) „ანგარიშის გაუწევლად, ურცხვად“//ქართ. **აშკარა** ზედ. სახ. „ცხადი, ნათელი, დაუფარავი“.

აზერბაიჯანულში წარმოდგენილი ზმნიზედა პოლისემიზებულია და მისი მეორე მნიშვნელობა ეფუძნება ანგარიშის გაუწევლობისა და ურცხვობის ასოციაციაციას დაუფარავობასთან.

სპარს. **مفت** [moft] 1. ზედ. სახ. 1) „უფასო, უსასყიდლო, მუქთა“; 2) „ძალიან იაფი“; 3) „ფუჭი, უშინაარსო, უაზრო“; 2. ზმნზდ. 1) „უფასოდ, უსასყიდლოდ, მუქთად“; 2) „ძალიან იაფად“; 3) „ტყუილუბრალოდ, ამაოდ“>თურქ. **müft** [mũft] 1. ზედ. სახ. „უფასო, უსასყიდლო, მუქთა“; 2. ზმნზდ. „უფასოდ, უსასყიდლოდ, მუქთად“//აზერ. **müft(ə)**[mũft(ə)] 1. ზედ. სახ. „უფასო, უსასყიდლო, მუქთა“; 2. ზმნზდ. **müftə-müftə** [mũftə-mũftə] „ტყუილუბრალოდ, ამაოდ“//ქართ. **მუქთა/მუქთი** ზედ. სახ. „უფასო, უსასყიდლო“.

ქართულში ზედსართავულ და ზმნიზედურ შინაარსის შემცველ გრამატიკულად პოლისემიურ ეტიმონთა ზმნიზედური მნიშვნელობის შესატყვისი ფორმები ვითარებითი ბრუნვის სახითაა წარმოდგენილი – **აშკარ-ად, მუქთ-ად**.

ჩვენს მასალაში იშვიათია მაგალითები, სადაც გრამატიკულად პოლისემიური ეტიმონი მოიცავს სუბსტანტივურ (არსებითის), ზედსართავულ და ზმნიზედურ მნიშვნელობებს. იხილეთ:

სპარს. **آزاد** [āzād], რომელიც სპარსული ენის განმარტებით ანგარისეულ ლექსიკონში 20 მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. მათგან 18 ზედსართავად გვევლინება ამოსავალი მნიშვნელობით „თავისუფალი“, ერთი მნიშვნელობა ზმნიზედურია „თავისუფლად“, ხოლო **آزاد** [āzād]-ით გამოხატული არსებითი სახელის მნიშვნელობაა „დურგლობასა და მშენებლობაში გამოსაყენებელი ტყის მაღალი ხე“. სადღეისოდ ისტორიზმად კვალიფიცი-რებული შესაბამისი ქართული ნასესხობა **აზატი** მონოსემიზებულია **ისტ.** „თავისუფალი“. ეს მნიშვნელობა ძალზე დავიწროებული იყო და გამოიყენებოდა ბატონყმობის კონტექსტში, იხ. **გააზატება** „გათავისუფლება(ყმისა)“. თურქულსა და აზერბაიჯანულშიც პოლისემიური არე მაქსიმალურად შემცირებულია, თუმცა გარკვეული სახეცვლილებით შენარჩუნებულია გრამატიკული პოლისემია: თურქ. **azat**[azat] 1. არს. სახ. 1) „გათავისუფლება, თავისუფლება“; 2) „სკოლაში არდადეგების გამოცხადება“; 2. ზედ. სახ.

¹ აზერბაიჯანულში **müft(ə)**[mũft(ə)]-ის ზმნიზედური ფორმა მხოლოდ გაორმაგებული ფუძის სახით დასტურდება, რაც სხვა მაგალითებთან დადამახასიათებელი მოვლენა ჩანს აზერბაიჯანულისთვის(იხ. ქვემოთ).

სასაუბ. „გათავისუფლებული, თავისუფალი“. აქ ეტიმონისთვის ამოსავალი ზედსართავული მნიშვნელობა მეორადია. ძირითადი სუბსტანტივური შინაარსი კი სრულიად განსხვავებულია სპარსული სუბსტანტივური პარალელისაგან და საკუთრივ თურქულ ნიადაგზეა განვითარებული. აზერბაიჯანული ვარიანტი წარმოდგენილია ზედსართავისა და შორისდებულის მნიშვნელობით – **azat**[**azāt**] 1. ზედ. სახ. „თავისუფალი“; 2. შორისდ. (სამხედრო ტერმინი) „თავისუფლად“!.

სუბსტანტივურ-ზედსართავულ-ზმნიზედური პოლისემანტია ასევე სპარს. **آواره**[**āvāre**] 1.1) ზედ. სახ. არს. სახ. „დევნილი, ლტოლვილი“; 2) ზედ. სახ. არს. სახ. „მოხეტიალე; უსაქმური“; 3) ზედ. სახ. „შეყვარებული, გამიჯნურებული“; 4) „უბედური, უიღბლო“; 2. ზმნზდ. „წაწალით, კარდაკარ“. თურქული ნასესხობა წარმოდგენილია გარკვეულწილად ცვლილი სუბსტანტივურ-ზედსართავული მნიშვნელობებით: **avare** [**avare**]/სასაუბ. **avara** [**avara**] ზედ. სახ. არს. სახ. 1) „მაწანწალა; უსაქმური“; 2) „მოხეტიალე, მაწანწალა; უსაქმური; უსაქმურად მოხეტიალე“; 3) „დაბნეული, საწყალი; გაუწონასწორებელი; თავმოუბმელი“; 4) „მაწანწალა; უსახლკარო“. აზერბაიჯანულში დასტურდება სუბსტანტივურ-ზედსართავული მნიშვნელობები: **avara** [**avara**] 1. არს. სახ. „ადამიანი, რომელიც ხეტიალის გარდა არაფერს აკეთებს“ უსაქმური ადამიანი//ადამიანი, რომელსაც არც საქმე აქვს და არც მუშაობა შეუძლია“; 2. ზედ. სახ. „უბინაო, უსახლკარო“. ამავდროულად ჩანს ფუძის გაორმაგებით მიღებული ზმნიზედაც **avara-avara**[**avara-avara**] 1) „უქმად, უსაქმურად“; 2) „ფუჭად, ტყუილუბრალოდ“ (შდრ. ზემოთ მოტანილი ასევე ფუძეგაორმაგებული ზმნიზედაც **müfta-müfta** [**müfta-müfta**] ზმნზდ. „ტყუილუბრალოდ, ამაოდ“). ქართული **ავარა** „უსაქმოდ მოხეტიალე, მოხულიგნო ახალგაზრდა, მაწანწალა“ ასევე წარმოადგენს სუბსტანტივურ-ზედსართავულ გრამატიკულ პოლისემანტს(იხ. ზედ. სახ. „ის ერთი ავარა ბიჭია“ და არს. სახ. „დუქანში ვიღაც ავარები შეკრებილიყვნენ“). მისი მნიშვნელობა ემთხვევა აზერბაიჯანული **avara** [**avara**]-ს სუბსტანტივურ მნიშვნელობას, რაც ქართულში ამ მნიშვნელობის აზერბაიჯანულიდან გადმოტანაზე მიუთითებს.

ოთხ შემთხვევაში გრამატიკულად პოლისემიური ეტიმონი დასტურდება არსებითისა და შორისდებულის მნიშვნელობით:

სპარს. **آفرین** [**āfarin**] 1. შორისდ. „აფერუმ! ყოჩაღ!“; 2. არს. სახ. 1) „შექება, ხოტბა; მოწონება“; 2) „სახოტბო ლექსი, პანეგერიკი“. თურქულში ასახულია გრამატიკული პოლისემია, თუმცა შეცვლილია სუბსტანტივური მნიშვნელობა: **afarin/afirim**[**afarin/afirim**] 1. შორისდ. „აფერუმ!, ყოჩაღ!“; 2. არს. სახ. მოძვ. „მოსწავლეებისთვის გაცემული ქების სიგელი“. აზერბაიჯანულსა და ქართულში გადმოსულია მხოლოდ შორისდებულის მნიშვნელობა – აზერ. **afərim** [**afərim**] და ქართ. **აფერუმ!** „ყოჩაღ! ბარაქაღა“.

სპარს. **افسوس** [**afsus**] 1. შორისდ. „ავსუს! ვაგლახ!“; 2. არს. სახ. „დანანება, გულდაწყვეტა; სინანული“. ეს ლექსემა თურქულსა და აზერბაიჯანულში მხოლოდ შორისდებულის სახითაა შეთვისებული: თურქ. **efsus** [**efsüs**] და აზერ. **əfsus** [**əfsus**] შორისდ. „ავსუს! ვაგლახ!“. ქართულში ეტიმონის გრამატიკული პოლისემიურობა სრულადაა ასახული და სუბსტანტივური მნიშვნელობა სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსითაა გაფორმებული: **ავსუსი!** შორისდ. „გამოხატავს დანანებას“ და არს. სახ. **ავსუსი**-ი „დასანანი, ძნელად გასამეტებელი (ვინმე, რამე)“ მაგალითად, „ავსუსი/დასანანი არ არის ამ შესაძლებლობის დაკარგვა?!“.

სპარს. **زهرمار** [**zahr(-e)mār**] 1. შორისდ. „ზაჰრუმ! არგადარჩენა! სიკვდილი! მოსპობა! (გამოხატავს გაღიზიანებულ რეაქციას რაიმე ნათქვამსა და საქციელზე)“; 2.1) არს. სახ. „გველის შხამი“; 2) „უვარგისი საქმელი“; 3) „ყოველი მწარე, უგემური და უვარგისი რამე“; 3) „ალკოჰოლური სასმელი“. თურქულში **zehr-i mar** [**zehri:mar**] ნასესხობა დასტურდება მხოლოდ „გველის შხამის“ მნიშვნელობით.¹ აზერბაიჯანულში კი ეს ლექსიკური ერთეული

¹ თურქულში გადმოტანილია იზაფეთით გაფორმებული სპარსული საზღვრულ-მსაზღვრელის პოსტპოზიციური სტრუქტურა (სპარს. იზაფ. -e>თურქ. იზაფ. -i).

ინარჩუნებს გრამატიკულ პოლისემიას, თუმცა არსებით სახელად მხოლოდ ერთი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი: **zahrimar**[zæhrimar] 1.არს. სახ. „საწამლავი“; 2.შორისდ. „ზაჰრუმა! არგადარჩენა! სიკვდილი! მოსპობა!“ საინტერესოა ამ ლექსიკური ერთეულის ფონოსემანტიკური შეთვისება ქართულში, სადაც ის დასტურდება **ზაჰრუმა/ზაჰრუმალა** ფორმებით. **ზაჰრუმა** გვხვდება მხოლოდ შორისდებულად და მნიშვნელობით ემთხვევა სპარსულ და აზერბაიჯანულ პარალელელებს, ხოლო **ზაჰრუმალას** აქვს როგორც შორისდებულის, ასევე არსებითისა და ზედსართავის მნიშვნელობა. არსებითი სახელის მნიშვნელობაა „არაყი“, რომელიც ფაქტობრივად აკონკრეტებს ეტიმონის ერთ-ერთ მნიშვნელობას „ალკოჰოლური სასმელი“. სპარსულისა და აზერბაიჯანულისაგან განსხვავებით, ქართულში წარმოიქმნა ზედსართავული მნიშვნელობა „წყეული, უკუღმართი, შეჩვენებული, თარსი“.

სპარს. شاپاش [šābāš] 1.შორისდ. „აფერუმ! ყოჩაღ! შესანიშნავია!“; 2.არს. სახ. „ნაჩუქარი ფული (ქორწილსა და ლხინში დამკვერელებისა და მოცეკვავეებისთვის ნაჩუქარი რამე, ასევე ფული, რომელსაც მეფე-პატარძალს თავზე გადააჰნებენ)“. თურქულში შესული ნასესხობა მხოლოდ შორისდებულად გვევლინება, ხოლო აზერბაიჯანულ და ქართულ ვარიანტებში ფაქტობრივად სრულადაა გადმოტანილი ეტიმონისეული გრამატიკული პოლისემია და ლექსიკური მნიშვნელობა. იხ. თურქ. şabaş[šabaš] შორისდ. „აფერუმ! ყოჩაღ!“; აზერ. şabaş[šabaš] 1.არს. სახ. „ფული, რომელსაც ქორწილებში მომღერლებსა და მუსიკოსებს აძლევენ“; 2.შორისდ. „აფერუმ! ყოჩაღ! ბარაქალა!“; ქართ. შაბაშ-ი არს.სახ. „ქორწილში (ლხინში) მოცეკვავის ან მემუსიკეთა სასარგებლოდ შეგროვებული ფული“; 2.შაბაშ! შორისდ. „ვაშა! ყოჩაღ! ბარაქალა!“.

დასტურდება ერთი მაგალითი, როცა გრამატიკულად პოლისემიური ეტიმონი არსებითისა და ნაწილაკის მნიშვნელობებს მოიცავს:

სპარს. پیشکش [piškeš] 1.არს. სახ. 1)„დიდი კაცისთვის, ზემდგომი პირისთვის მირთმეული საჩუქარი; ძღვენი“; 2)„მირთმევა; ჩუქება“; 3)„თანხა, რომელსაც ოლქის მმართველები ცენტრალურ ხელისუფლებას უხდიდნენ“; 4)„გადასახადის სახეობა“; 2. ნაწილაკი, /სასაუბ. ხუმრ. „ფეშქაშ! (ითქმის, როცა ვინმესგან რამის მოლოდინი ან იმედი არა აქვთ ან რამეს უარობენ)“.¹ თურქულსა და აზერბაიჯანულში ეს ნასესხობა მხოლოდ არსებით სახელად გვხვდება: თურქ. peşkeş[peškeš] 1) მოძვ. „საჩუქარი“; 2) „არადანიშნულებისამებრ სარგებლისა და გულისმოგებით მიზნით გაცემული რამ; ქრთამი“. თურქული ვარიანტის ორივე მნიშვნელობა ეტიმონის პირველი მნიშვნელობის სახეცვლილებაა. აზერბაიჯანულში გადმოტანილია თურქული პარალელის პირველი მნიშვნელობა და მცირედ პოლისემიზებულია ეტიმონის ძირეული შინაარსი – peşkaş[peškaš] „საჩუქარი, ძღვენი; მოწყალებად გაცემული რამე“. ქართულში پیشکش [piškeš]-იდან მომდინარე ნასესხობაში არსებითი სახელის პარალელურად განვითარდა შორისდებულის მნიშვნელობაც: ფეშქაში არს. სახ. „საჩუქარი, ძღვენი“; შორისდ. საუბ. ფეშქაშ! „მიჩუქებია! მომიძღვნია!“.

საკვლევი მასალის მიხედვით, ქართული მეტადაა მიდრეკილი სესხებისას სპარსული ეტიმონის გრამატიკული პოლისემიურობის გაქარწყლებისკენ. ქართულში შემოსულ განსახილველ ნასესხობათაგან მხოლოდ 16 ერთეული გვევლინება გრამატიკულ პოლისემანტად. გრამატიკული პოლისემიურობა მეტწილად შენარჩუნებულია თურქულსა (42 მაგალითი) და აზერბაიჯანულში (51 მაგალითი).

ძალზე იშვიათია სესხებისას ეტიმონის მორფოლოგიური კატეგორიის ცვლილება, იხილეთ:

¹ پیشکش [piškeš], როგორც ნაწილაკი ძირითად გამოიყენება კონტექსტში „ჯერ ეს და მერე ის(იყოს)/ის მოიცდის“; گوشتش را پیدا کن، تو نخودش را پیدا کن, gust-aš piškeš] „ჯერ მისი(კერძის) მუხუდო იშოვე, მისი ხორცი (კი) მერე/მისი ხორცი (კი) მოიცდის“.

სპარს. **نر** [nar] ზედ. სახ. 1) „მამრობითი სქესისა, მამრი, ხვადი“; 2) „უშიშარი, მამაცი“; აზერ. **nar** ზედ. სახ. 1) „უშიშარი, მამაცი“; არს. სახ. 2) „ხვადი აქლემი“ // ქართ. **ნარი** არს. სახ. მოძ. „ხვადი აქლემი“. აზერბაიჯანულ და ქართულ სუბსტანტივურ მნიშვნელობათა თანხვედენა **ნარის** აზერბაიჯანულიდან სესხებაზე მიუთითებს ქართულში. მდრ. თურქული **ner** ზედ. სახ. „მამრობითი სქესისა, მამრი, ხვადი“, სადაც უცვლელადაა გადმოტანილი სპარს. **نر** [nar]-ის პირველი მნიშვნელობა.

სპარს. **بج** [bejed(d)] ზმნზდ. მოძ. „სერიოზულად; გულმოდგინედ, დაბეჯითებით“ > თურქ. **becit** [bejit] ზედს. სახ. მოძ. სასაუბ. 1) „სერიოზული, მნიშვნელოვანი; საჭირო“ 2) „სწრაფი“; 3) „რაიმე საქმის გულმოდგინედ შემსრულებელი, ბეჯითი“ // აზერ. **becid** [bejd] „სწრაფად, ჩქარა!“ // ქართ. **ბეჯით**-ი 1) „დაუზარელი, გულმოდგინე, მუყაითი, მეცადინე“; 2) „ერთგული, თავგამოდებული“. აზერბაიჯანულში შენარჩუნებულია ეტიმონის ზმნიზედური მნიშვნელობა, თურქული და ქართული პარალელები კი ზედსართავად გვევლინება. ქართული ფორმის თურქულიდან მომდინარეობას ადასტურებს როგორც მისი მორფოლოგიური იდენტურობა, ასევე ფონეტიკური მსგავსებაც თურქულ პარალელთან (სპარს. **d** > თურქ. **t** > ქართ. **თ**).

გრამატიკულად მონოსემიური ნასესხობები ცხადია, მეტწილად არსებითი სახელებითაა წარმოდგენილი, რამდენადაც საზოგადოდ, მეტყველების ეს ნაწილია ყველაზე მეტად სესხებადი ერთეული. სამივე მსესხებელ ენაში სპარსულიდან მომდინარე ლექსიკური პოლისემანტია მნიშვნელობების რიცხვი თურქულსა და აზერბაიჯანულში საშუალოდ 2-დან 6-ის ფარგლებში მერყეობს და იშვიათად აჭარბებს ამ რაოდენობას, მაშინ როცა თავად სპარსული ეტიმონი ზოგჯერ შეიძლება ოც ან მეტ მნიშვნელობას მოიცავდეს. მაგალითად, ანვარის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სპარსულ **نشان** [nešān]-ს აქვს 23 მნიშვნელობა (ამათგან ერთი ზედსართავული – „განთქმული, გამორჩეული“). იხ. ზოგიერთი მათგანი: 1. არს. სახ. 1) „ნიშანი; ნაჭდევი; ჩანანიშნი“; 2) „დადი; დამლა“; 3) „ნიშან-თვისება; მახასიათებელი“; 4) „ნიშანწყალი; კვალი“; 5) „სამიზნე“; 6) „დროშა“; 7) „ორდენი“; 8) „ემბლემა“; 9) „სახელი; დიდება“; 10) „ლაქა; ხალი“... > თურქ. **nişan** [nişan] არს. სახ. 1) კვალი, სიმპტომი, მინიშნება, ნიშანი“; 2) „ქალისა და კაცის მიერ ერთმანეთისათვის დასაქორწინებლად მიცემული სიტყვა“; 3) „სამიზნე“; 4) „სახელმწიფო ჯილდო; ორდენი“ // აზერ. **nişan** [nişan] არს. სახ. 1) „ნიშანი; ჩანანიშნი“; 2) „ნიშან-თვისება; მახასიათებელი“; 3) „მარკირება, აღნიშვნა (ნიშანი, რომელიც განთავსებულია რაიმეს აღსანიშნავად, რაღაცის მითითების მიზნით)“; 4) „ნიშანწყალი; კვალი“; 5) „სამიზნე“; 6) „ემბლემა“; 7) „ნიშნობა (საქორწინო)“ // ქართ. **ნიშანი** არს. სახ. 1) „ნიშან-თვისება; მახასიათებელი“; 2) „ნიშანწყალი; კვალი“; 3) „სამიზნე“; 4) „სამკერდე ნიშანი“; 5) „პირობითი გამოსახულება“; 6) „მოსწავლის ცოდნის შეფასების პირობითი ნიშანი“; 7) „სასიძოს მიერ საპატარძლოსთვის მირთმეული სამკაული, იმის დასტურად, რომ ცოლად ირთავს“. ქართულში წარმოდგენილი მე-7 მნიშვნელობა თურქულიდან ან აზერბაიჯანულიდან მომდინარე ჩანს, რამდენადაც ის თავად სპარსულში არ დასტურდება.

ქართული თურქულსა და აზერბაიჯანულზე მეტადაა მიდრეკილი პოლისემიური ეტიმონის მოცულობის შემცირებისკენ. ქართულში შემოსულ სპარსიზმთა მნიშვნელობების რაოდენობა თურქული და აზერბაიჯანული პარალელებისაგან განსხვავებით, იშვიათად აღემატება ორს. სწორედ ამგვარი იშვიათობაა ზემოთ მოტანილი **ნიშანი**.

საკვლევ მასალაში წარმოდგენილია 5 ლექსიკურად პოლისემიური ზედსართავული ეტიმონიც. მათ მნიშვნელობათა რიცხვი 2-დან 7-ის ფარგლებშია:

სპარს. **بizar** [bizār] 1) „მოძულე (რამის, ვინმესი)“; 2) „რამით გაწვალებული“; 3) მოძ. „მომორებული“; 4) მოძ. „უცოდველი, ბრალის არმქონე; პატიებული“ > თურქ. **bizar** [bi:zar]

¹ აზერბაიჯანულში ასევე გვხვდება ფუძის გაორმაგებით მიღებული ზმნიზედა: **becid becid** „სწრაფ-სწრაფად, ჩქარ-ჩქარა“;

1. 1) „მოსაწყენი, მოსაბეზრებელი; ყელში ამოსული, მობეზრებული“; 2) „შეშფოთებული, შეწუხებული“ 2. ზმნზდ. „შეშფოთებულად, მობეზრებულად“//აზერ. **bizar** [bizar], **bezar** [bezar] ზედს.სახ. 1) „მომძულე, ზიზღის მქონე“; 2) „გაწამებული, გაბეზრებული“//ქართ. **აბეზარა**, **აბეზარი** „მომაბეზრებელი, შემაწუხებელი“.

სპარსულისა და აზერბაიჯანულის პირველი მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა. ეტიმონის მეორე მნიშვნელობა კი გადააზრებულია სამივე მსესხებელ ენაში. თურქული პარალელი გრამატიკულად პოლისემიზებულია და მოიცავს ზმნიზედურ შინაარსსაც. ქართულში **აბეზარი** სპარსული ეტიმონისა და თურქულ-აზერბაიჯანული პარალელებისაგან განსხვავებით, გულისხმობს მოქმედ პირს.

სპარს. **بَدَاسِلْ** [badasl] 1) „უგვარო; მდაბიო“; 2) „ავი, უკეთური; უწყესო, უპატიოსნო“ > თურქ. **bedasl** [bedasl] „უგვარო; მდაბიო“//აზერ. **bədäsl** [bədäsl] „უგვარო; მდაბიო“//ქართ. **ბედასლი** 1) „უშნო, უფხო, უუნარო, მოუხერხებელი“; 2) გადატ. „ცუდი“.

ქართული **ბედასლი**-ისა და სპარსული **بَدَاسِلْ** [badasl]-ის პოლისემიურობა ერთმანეთს არ ემთხვევა. ქართულში, აზერბაიჯანულისა და თურქულისგან განსხვავებით, გადმოტანილია სპარსულში წარმოდგენილი მეორე მნიშვნელობა, რომელიც შემდგომ სწორედ ქართულ ნიადაგზეა პოლისემიზებული.

სპარს. **زُوربَا** [zurbāz] 1) „წარმოსადეგი“; 2) „ღონიერი, ძლიერი“ > თურქ. **zorba** [zorba] „მომალადე, დესპოტი; თავაწყვეტილი, აულაგმავი“//აზერ. **zorba** [zorba] 1) „ზორბა, მოსული“; 2) გადატ. „ძალიან გავლენიანი, გამოჩენილი“ (*ჩვეულებრივ სარკასტულად ითქმის*) 3) „ძალიან ძლიერი“//ქართ. **ზორბა** „წარმოსადეგი; ზორბა, მოსული“.

აზერბაიჯანულ და ქართულ პარალელთა სრული ფონეტიკური და სემანტიკური დამთხვევა მიუთითებს ქართულში ამ სიტყვის აზერბაიჯანული გზით შემოსვლაზე.

სპარს. **يَغَانِي** [yegāne] 1) „ერთადერთი“; 2) „უნიკალური, სწორუპოვარი“; 3) „ერთნაირი ზნისა და გუნების“ > თურქ. **yegāne** [yega:ne] „ერთადერთი, უბადლო, გამორჩეული“//აზერ. **yeganə** [yeganə] 1) „ერთადერთი, უბადლო, გამორჩეული“ 2) „უნიკალური, სწორუპოვარი“ // ქართ. **იაგანი** რიცხვ. სახ. „წყვილი იაქე (ერთიანი)¹ ნარდის თამაშისას“. ქართულში შეცვლილია ეტიმონის როგორც მნიშვნელობა, ასევე მორფოლოგიური კატეგორია.

სპარს. **پَاكِزِي** [pakize] 1) „სუფთა, კრიალა“; 2) „უმანკო, ქველი“; 3) „უნაკლო, უზადო“; 4) „სასიამოვნო (გარეგნობის)“; 5) „პატიოსანი, მართალი; მართლისმოქმელი“; 6) „უანგარო“; 7) „წმინდა (ღვთის ეპითეტი)“ > თურქ. **pakize** [pakize] 1) „სუფთა, წმინდა, კრიალა“; 2) „ნამდვილი, ხალასი, ჭეშმარიტი“; 3) გადატ. „ლამაზი, სასიამოვნო, მშვენიერი“//აზერ. **pakiza** [pakizə] 1) „ძალიან სუფთა, წმინდა“; 2) გადატ. „ლამაზი, სასიამოვნო, მშვენიერი“//ქართ. **ფაქიზი** 1) „ძალიან სუფთა, წმინდა“; 2) გადატ. „სპეტაკი, უმწიკვლო“; 3) „დახვეწილი, ნატიფი“. სამივე ნასესხობაში შემცირებულია პოლისემიური არე.

საკვლევ მასალაში სესხებისას იშვიათია მონოსემიური ეტიმონისგან მომდინარე ნასესხობის პოლისემიზაცია. თურქულში დასტურდება 14 ამგვარი შემთხვევა, აზერბაიჯანულში – 6, ქართულში კი ორი. მოვიტანთ ერთ-ერთ მაგალითს, როცა განსახილველ მსესხებელ ენებში შემოსული სიტყვა პოლისემიზებულია:

სპარს. **اَبْرُ** [ābru] „ღირსება, პატივი; რეპუტაცია“ > თურქ. **abru** [abru] 1) „პატივი, ღირსება; თავმოყვარეობა“; 2) გადატ. „სიამაყის წყარო“//აზერ. **abru** [abru]/**abir** [abir] 1) „პატივი; ღირსება“; 2) გადატ. „გარეგნობა, ჩაცმულობა“; 3) „სხეულის ინტიმური ნაწილი“//ქართ. **აბრუ** 1) „პატიოსნება; სინდისი“; 2) „სახელი, პატივი, ავტორიტეტი“.

ხშირად სესხებისას იცვლება ეტიმონის ერთ-ერთი მნიშვნელობა ან მნიშვნელობათა ნაწილი. თურქულში დასტურდება 35 ამგვარი შემთხვევა, აზერბაიჯანულში 30 – და ქართულში – 32. იხილეთ:

¹ ქართულში ერთიდან ექვსის ჩათვლით სპარსული რიცხვითი სახელი **يَكْ** [yek], **دُو** [du], **سِه** [se], **چار** [čār], **پنج** [panj], **شش** [šēš] შემოსულია მხოლოდ სანარდო ტერმინთა კომპონენტებად: **იაქე**, **დუ**, **სე**, **ჩარი**, **ფანჯი**, **შაში**.

სპარს. **آهنگ**[āhang] 1)„ჰანგი; მელოდია“; 2)მუსიკ. „ტონი“; 3)„ინტონაცია; აქცენტი“; 4)„ბგერა, ჟღერადობა“; 5)„ტემპი, რიტმი“; 6)„განზრახვა, ჩანაფიქრი“...¹ >თურქ. **âhenk**[a:henk] 1)„თანხმობა, ერთსულოვნება, შეწყობა“; 2)ლიტ. „კეთილხმოვანება, ჰარმონია“; 3)მუს. „ჰანგი, მელოდია, მუსიკა“; 4)„დროსტარება, მხიარულება“//აზერ. **ahəng**[ahəng] 1)„სიმღერა, ტონი“; 2)„ჰარმონია“; 3)გადატ. „კარგი ხმა“//ქართ. **ჰანგი** 1)„სიმღერის კილო, მელოდია“.²

პოლისემიური ეტიმონი მონოსემიზებულია ქართულში, ხოლო აზერბაიჯანულში პოლისემიური არე შემცირებულია, თურქულში კი სამ შემთხვევაში გადააზრებულია ეტიმონის პირველი მნიშვნელობა – „თანხმობა, ერთსულოვნება, შეწყობა“; ლიტ. „კეთილხმოვანება, ჰარმონია“; „დროსტარება, მხიარულება“.

სპარს. **گومان**[gomān] 1)„ვარაუდი; ინტუიციური შეხედულება, აზრი“; 2)„ექვი; ყოყმანი“//თურქ. **güman**[güman] 1)„ვარაუდი“; 2)„ექვი“//აზერ. **güman**[güman] 1)„ვარაუდი“; 2)„ექვი“; 3)„იმედი“//ქართ. **გუმანი** 1)„აზრი, ფიქრი; ვარაუდი; ეჭვი; წინათგრძნობა“; 2) „ალღო, ინტუიცია“; 3)კუთხ. „განზრახვა“.

თურქული შინაარსობლივი თვალსაზრისით, ფაქტობრივად იმეორებს ეტიმონის პოლისემიურობას. აზერბაიჯანულსა და ქართულში წარმოქმნილი ახალი მნიშვნელობები „იმედი“(აზერ.) და „განზრახვა“(ქართ. კუთხ.) ამოსავალი სპარსული ფორმის პირველ მნიშვნელობას ეფუძნება.

სამივე მსესხებელ ენაში რიგი პოლისემიური ეტიმონები მონოსემიზდება. ამას ცხადყოფს ზემოთ მოტანილი **بیزار**[bizār]-იდან მომდინარე აზერბაიჯანული და ქართული, **بداسل**[badasl]-იდან მომდინარე აზერბაიჯანული და თურქული, **زرباز**[zurbāz]-იდან და **یگانه**[yegāne]-იდან მომდინარე ქართული პარალელები.

თურქულში დასტურდება სპარსული წარმომავლობის 37, აზერბაიჯანულში – 38, ქართულში – 74 მონოსემანტი. ამათგან მონოსემიური ეტიმონიდან მომდინარეა 8 თურქული, 10 აზერბაიჯანული და 15 ქართული ლექსიკური პარალელი, მაგალითად:

شلتوک[šaltuk]>თურქ. **çeltik**[çeltik] //აზერ. **çəltik**[çəltik]//ქართ. **ჩალთუქი** „გაუცხველი ბრინჯი“.

რაც შეეხება ზემოთ მოტანილ დანარჩენ შემთხვევებს, სპარსულიდან ქართულში შემოსულ ნასესხობებში უფრო მკვეთრადაა გამოხატული მონოსემიზაციისა და პოლისემიური მოცულობის შემცირების ტენდენცია, რაც განპირობებული უნდა იყოს სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა ნაკლები ინტენსივობით სპარსულ-თურქულ და სპარსულ-აზერბაიჯანულ ენობრივ ურთიერთობებთან შედარებით.

ლიტერატურა:

- 1 აბულაძე, ც.(1968). სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- 2 აივერდი, ი.(2005). – Misallı Büyük Türkçe Sözlük, Kubbealtı Lugatı, 3 cilt, Kubbealtı, İstanbul: Yayın evi [Ayverdi, I. Big Turkish Dictionary with Examples. Kubbealti Dictionary, 3 vol.]
- 3 ანდრონიკაშვილი, მ.(1966). ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- 4 ანდრონიკაშვილი, მ.(1996). ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან II, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან II, თბილისი: გამომცემლობა „ირმისა“ [Studies in Iranian-Georgian Linguistic Contacts II], Tbilisi. "Irmisa" Publishing House.
- 5 ანვარი, ჰ.(1381/2002-). – فرهنگ بزرگ سخن، تهران: سخن. I-VIII [Anvari, H. Farhang-e bozorg-e soxan: j. I- VIII [The Big Dictionary of Words, vol. I-VIII], Tehran: Soxan.
- 6 ანთაძე-მალაშხია, ფ.(2018). სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების საკითხები, თბილისი: გამომცემლობა „აკადემიური წიგნი“.

¹ სპარსულ ლექსიკონებში დასტურდება **آهنگ**[āhang]-ის 13 მნიშვნელობა.

² ქართული ჰანგი მომდინარეა **آهنگ**[āhang]-ის ფონეტიკური ვარიანტიდან **हंग**[hang].

- 7 ანთადე-მალაშხია, ფ.; კაჭარავა, ნ.(2024). თურქულ-აზერბაიჯანული შუამავლობისათვის სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებში//სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, № 33, 9-21.
- 8 ბართაია ნ.(2011). ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა(იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით), თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.
- 9 გრიშაშვილი, ი.(1997). „ქალაქური ლექსიკონი“, თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“.
- 10 თურქული ენის ლექსიკონი (1998). – Türkçe Sözlük, 2 cilt [The Turkish Dictionary, vol. I-II], TDK, Ankara: Türk Tarih Kurumu Basım Evi.
- 11 ორუჯოვი, ა.(2006). – Orucov, Ə. Azərbaycan dilinin izahlı lüğəti [The Explanatory Dictionary of the Azerbaijani Language, 4 volumes], Baku: Sherq-Qerb.
- 12 რუბინიკი, ი.(1970). – Персидско-русский словарь, I-II т. [Persian-Russian Dictionary], Москва, Издательство «Советская энциклопедия».
- 13 რუხაძე, ლ.(2013) თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში, თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“.
- 14 ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი(1950-1964) , თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. <https://www.ena.ge/explanatory-online>
- 15 abadis.ir ganmarteba.ge
- 16 ganmarteba.ge

Fatman Antadze-Malashkhia, Nana Katcharava

Iv.Javakhishvili State University

Tbilisi, Georgia

patman.antadze@tsu.ge; nanuli.katcharava@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.04>

On the Turkish, Azerbaijani and Georgian Lexical Parallels of Persian Origin

Abstract

As a result of longstanding and close language contacts with Persian, numerous Persian loans are found in Turkish, Azerbaijani and Georgian. The lexical layer of Persian loans is especially notable in Anatolian Turkish and Azerbaijani. This is due to specific historical and cultural factors, namely, the high prestige of the Persian language in the Moslem world.

We have found approximately 270 Turkish-Azerbaijani-Georgian parallels of Persian origin¹ and analyzed the relation of these units with Persian. The analysis also embraces the peculiarities of adaptation of these units in the borrower languages. The research also focuses on the relation between the Persian loans found in Turkish, Azerbaijani and Georgian.

The etymons of the analyzed loans embrace 250 nouns, 10 grammatically monosemantic adjectives, 6 numerals and 2 interjections. At the same time, it should be noted that some borrowed words are grammatically polysemantic in Persian and embrace the meanings of both noun and adjective. In two cases, the words have the meanings of both noun and interjection – آفرین [āfarin] 1. interjection “Good job, well done! “; 2. 1) noun “Praise, admiration, approval “; 1) noun “ode, panegyric“; افسوس [afsus] 1. interjection “Alas! “; 2. noun “regret, disappointment “.

Grammatical polysemy is mostly preserved in Turkish (40 examples) and Azerbaijani (71 examples); it is less preserved in Georgian (16 examples). For instance, Persian نامرد [namard]

Turkish **nâmert**; Azerbaijani **namərd**; Georgian ნამარდო [namard-i] 1.adj. “evil, inhuman “; 2. noun “scoundrel “.

In extremely rare cases, the morphological category of the etymon is changed in the process of borrowing, for instance, Persian نر [nar] adj. 1) “male “; 2) „brave, courageous “; Azerbaijani **nər** adj. 1. “brave, courageous “; noun 2. “male camel/bull camel “; Georgian ნარო[nar-i]2 noun, archaic. “male camel/bull camel “, cf. Turkish ner adj. “male “, where the initial meaning of Persian نر [nar] remains unchanged.

From the viewpoint of lexical polysemy, in all the three borrower languages, the polysemantic volume of the Persian etymon is reduced.

1 Out of these, about 20 units are not found in Turkish. In our opinion, this can be explained by the fact that there were closer language contacts between Persian and Azerbaijani than Persian and Turkish.

2 -i is a nominative case marker for nouns with consonantal stems in Georgian.

The number of meanings of polysemantic lexical units of Persian origin in Turkish and Azerbaijani varies between 2 and 6, and seldom exceeds this number, whereas the Persian etymon itself may have more than ten meanings. Georgian tends to decrease the number of meanings of the polysemantic etymons even more. The number of meanings of Persian loans in Georgian rarely exceeds two.

In the Turkish parallels, there are 29 monosemantic units. Out of these, only ten are derived from monosemantic etymons. In Azerbaijani, there are 38 monosemantic units. In this case, 11 etymons are monosemantic. In Georgian, there are 78 monosemantic loans, out of which 20 are derived from monosemantic etymons. In other cases, monosemantization of loans, as well as restriction of the polysemantic volume of the etymon in the process of borrowing, must be due to less intense language contacts between Georgian and Persian. For this reason, many of the Persian loans are no longer used in Georgian. This, above all, refers to concrete everyday vocabulary.

Key words: Lexical parallels; Persian-Turkish-Azerbaijani language contacts; Persian-Georgian language contacts.